ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 110

“ 15 ” აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ა(ა)იპ - „მზიანი“-სთვის (ს/კ №404488121) ქ. თბილისში, პარკი მზიურის ტერიტორიაზე (ს/კ №01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 7 ოქტომბრის №40.11.1155 განკარგულების დანართი 2-ის ცვლილებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებისთ გადაცემის წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 16 მარტის №10.35.240 განკარგულების შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 7 ოქტომბრის №40.11.1155 განკარგულების დანართი 2-ის შემდეგი სახის ცვლილებაზე: უსასყიდლო უზურფრუქტის პირობების პირველი პუნქტიდან „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების ამოღებაზე და 2.4 ქვეპუნქტის დამატებაზე შემდეგი რედაქციით:

„2.4. უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, უსასყიდლო უზუფრუქტის პირობებით ნაკისრი ვალებულებები შეასრულოს მათ შორის, მესამე პირების მიერ ან/და მათგან მიღებული ფინანსური რესურსებით/მათი ფინანსურის მხარდაჭერით“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი